

Asylverfahren

თავშესაფრის პროცედურა



დააბრუნეთ ჩვენი
მეზობლები

ერთად სოლიდარობით საქსონიის დეპორტაციის პოლიტიკის წინააღმდეგ

თუ ომის ან დევნის გამო დატოვე შენი ქვეყანა, გაქვს უფლება გერმანიაში მოითხოვო თავშესაფარი.

უნდა შეიტანოს განაცხადი თავშესაფარზე. ფედერალური სამმართველო მიგრაციის და დევნილთათვის, მოკლედ BAMF, მიიღეს გადაწყვეტილებას შენს განცხადებაზე.

ამ ვიდეოს დახმარებით შეძლებ სხვადასხვა ენაზე მიიღო მოკლე ინფორმაცია გერმანიაში თავშესაფარის კანონის შესახებ:

ეს ინფორმაცია შეგიძლიათ ნახოთ ინგეხნეგ-ვეისიაში

თუ განაცხადი თავშესაფარის მოთხოვნაზე შეტანილი გაქვს, მოგეცემა დროებითი ბინადრობის ნებართვა(ე.წ. მწვანე აუსვაისი).

მოსმენა/ ინტერვიუ

თუ გერმანია პასუხისმგებელია შენს თავშესაფარის განცხადებაზე, ჩატარდება მოსმენა (ე.წ. ინტერვიუ) BAMF- ში. ეს არის შენი შანსი დაასაბუთო შენი განაცხადი.

მოსმენა არის ძალიან მნიშვნელოვანი გადამწყვეტი შეხვედრა.

გთხოვ, მოემზადე ძალიან კარგად ამ გასაუბრებისთვის. ეს ძალიან მნიშვნელოვანია! შეგიძლია მომხდარი მნიშვნელოვანი ფაქტები ქრონოლოგიურად ჩამოწერო და თუ გაქვს მტკიცებულებები თანნაილო. შენ აგრეთვე შეგიძლია სთხოვო დახმარება დევნილთა საკონსულტაციო ცენტრს.

აქ იპოვი დამატებით ინფორმაციებს სხვადასხვა ენაზე კანონების, შენი უფლებების, მოსმენის, სკოლის და სამსახურის შესახებ თავშესაფარის პროცედური პერიოდში:

ეს ინფორმაცია შეგიძლიათ ნახოთ ინგეხნეგ-ვეისიაში

ბანაკი/საცხოვრებელი

დევნილთა პროცედურის დასაწყისში იცხოვრებ მიმღებ ცენტრში, ე.წ.

„პირველადი მიღება“. შესაძლებელია, რომ იქ დარჩე მანამ, სანამ შენს განაცხადზე გადაწყვეტილებას მიიღებენ, ან გადაგიყვანონ სხვა საცხოვრებელში.

სამწუხაროდ, არ გაქვს უფლება თვითონ გადაწყვიტო სად იცხოვრებ გერმანიაში. შენ გაგზავნიან კონკრეტულ ქალაქში ან სოფელში და იქ მოგიწევს ცხოვრება ბინაში ან ბანაკში. შეგიძლია მიმართო პირველად მიმღებ ცენტრს სხვა საცხოვრებელში გადაყვანის მოთხოვნით. ასევე შეგიძლია მოითხოვო ერთი ქალაქიდან სხვა ქალაქში გადასვლა. თუმცა განაცხადისთვის გჭირდება კარგი დასაბუთება, რადგან ასეთი მოთხოვნები ხშირად უარყოფით პასუხს იღებენ.

აქ იპოვი ამ თემაზე დამატებით ინფორმაციებს გერმანულ და ინგლისურ ენებზე:

ეს ინფორმაცია შეგიძლიათ ნახოთ ინგეხნეგ-ვეისიაში

მაგალითად, ქვემოთ ჩამონათვალი შეიძლება საცხოვრებლის შეცვლის მიზეზი იყოს:

- სამსახური, რომელიც შეგიძლია სხვა ქალაქში დაიწყო
- ოჯახის წევრები, რომლებთან ერთადაც გინდა ერთ ქალაქში ცხოვრება
- შენი რელიგიის პრაქტიკაში გამოყენება
- ოჯახის წევრის მოვლა
- უნივერსიტეტში სწავლა
- აუსილდუნგის დაწყება

ყველაფერი კარგად უნდა დაასაბუთო და ახსნა.

წერილები

თუ საცხოვრებელ ადგილს იცვლი, უნდა აცნობო ახალი მისამართი BAMF-ს, უცხოელთა სამმართველოს და შესაძლოა სასამართლოსაც. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან წერილები ყოველთვის იგზავნება იმ ბოლო მისამართზე, რომელიც შენ უწყებებს მიაწოდე. დროულად გაეცანი უწყებებისგან მიღებულ წერილებს, რადგან ისინი შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას და ვადებს, რომელთა ფარგლებშიც უნდა მოახდინო რეაგირება.

საბუთები

გერმანიაში სახელმწიფო უწყებებში შენი იდენტიფიკაცია რომ მოახერხო, უმჯობესია წარადგინო ყველა ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც გაქვს. ყველაზე კარგია პასპორტი. კანონში წერია, რომ თუ პასპორტი გაქვს, ვალდებული ხარ იგი წარუდგინო უცხოელთა სამმართველოს. სამწუხაროდ, როცა ქვეყანას ტოვებ და უნდა გაიქცე ამ დროს პასპორტი ხშირად იკარგება ან შეიძლება მოგპარონ. ეს უნდა აუხსნა BAMF-ს და უცხოელთა სამმართველოს. პასპორტის წარდგენა ასევე ამარტივებს დეპორტაციას. თუმცა ბინადრობის და მუშაობის ნებართვის მისაღებად უმეტესად პასპორტი აუცილებელია.

ყოველი შემთხვევა განსხვავებულია. შენ გჭირდება დახმარება **საკონსულტაციო ცენტრების [bbonlink.de/page-ka-contacts](https://www.bbonlink.de/page-ka-contacts)** ან ადვოკატების, რომლებიც კარგად ერკვევიან მიგრაციის სამართალში. მათ უნდა შეამოწმონ შენი საქმე დეტალურად.



الترجمة إلى العربية

Translation to English available

Traduction en français disponible

Deutsche Übersetzung verfügbar

Traducción al español disponible

Wergera bi Kurdî heye

აქ შეგიძლიათ იპოვოთ შუტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა შეგიძლიათ გააკეთოთ დეპორტაციის წინააღმდეგ bringbackourneighbours.de/

ბოლო განახლება: 8.7.2025

გამომცემლის მონაცემები: Kontaktgruppe Asyl und Abschiebehaft e.V. Heinrich-Zille-Str. 6 01219 Dresden